გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუთაისში, აკაკის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულ სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებლებში მისაღებად.

სკოლის სადგომის შეკეთების გამო ბავშვები 2 სექტემბრამდე მიიღებიან დროებით სადგურში, მეტეხის სახლებში, რომელიც იქვე ახლოს „ხიდის" ქუჩაზედ (Мостовая улица) იმყოფება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—9)

სასწავლებელი და პანსიონი

ოლგა თედოდოსის ასულის ნასიძისა

ამზადებს ქალებსა და ვაჟებს ყველა საშუალო სასწავლებლებში მისაღებად.

კუკია, ანდრიას ქუჩა, № 21.

(5—1)


პირველს ენკენისთვისას, საღამოს შვიდს საათსა და ნახევარზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საგანგებო სხდომა ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა, თავმჯდომარის ამხანაგის ბ-ნ მ. ი. სერგეევის თავ მჯდომარეობით ზოგიერთ საგნების განსახილველად, რომელნიც შეეხებიან საზოგადოების მონაწილეობას კავკასიის სამეურნეო გამოფენაში.

სხდომაზე შეუძლიანთ დაესწრონ არა-წევრნიცა. (1—1)

## ახალი ამბავი

*** გუშინ წინ, სამშაბათს, 29 მარიამობისთვეს, ტფილისის «საბრანიაში» უკანასკნელი წარმოდგენა გაჰმართეს ქართულის დრამატიულის დასის არტისტებმა, მომავალ სამშაბათს ერთხელ კიდევ იქნება „საბრანიაში" სომხური წარმოდგენა და ამითი გათავდება წარმოდგენები. ქართულს წარმოდგენაზედ ითამაშეს რაფაელ ერისთავის გადმოკეთებული ორ-მოქმედებიანი ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ" და იმისივე გადმოკეთებული ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი: „ბიძიასთან გამოხუმრება". წარმოდგენაზედ საზოგადოება მეტად ბევრი დაესწრო და ძალიანაც ისიამოვნა. არც საკვირველია, რადგანაც წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი ნ. გაბუნია, მ. საფაროვისა და ბ-ნი ვ. აბაშიძე, სამნივე საუკეთესო არტისტნი ჩვენის სცენისა. განსაკუთრებით ქ-ნი ნ. გაბუნია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ"-ში მოეწონათ, მ. საფაროვისა-კი — «ბიძიასთან გამოხუმრებაში». საზოგადოება სწორედ დასტკბა წარმოდგენით და დაუსრულებლივ იცინოდა და ხარხარებდა. ასე წარმოიდგინეთ, არტისტთა თამაშობით გატაცებულმა მოხარდეებმაც-კი თავი, ანებეს კამათლებს და მებანქოებმა კიდევ — ბანქოს. წარმოდგენის შემდეგ კვლავ ევროპიული ცეკვა გამართეს და ლეკური ითამაშეს. განსაკუთრებით ლეკურის თამაშობით დაატკბო და ასიამოვნა საზოგადოება თ. რეზიკო ყარალაშვილმა, რომელიც იმ საღამოს „საბრანიაში" დაესწრო.

*** ერთს გერმანელს მეცნიერს, გვარად ერკარტს, რომელიც გერმანიაში სცხოვრობს, განუზრახავს ქართულის ენის გამოკვლევა და ამ აზრით სწავლობს და ადარებს ქართულის ენის შტოებს, სვანურსა, ლაზურსა და სხვათა. ამ განზრახვით შეუდგენია სია საჭირო სიტყვებისა რუსულად, დაურიგებია საქართველოში მცოდნეთათვის და დაუვალებია მათთვის გადათარგმნა იმ სიტყვებისა სვანურად, ლაზურად, მეგრულად და სხ. მეცნიერს უნდა, რომ იგივე სიტყვები ჰქონდეს იმ გამოთქმითაც, როგორც გამოსთქვამენ თუშნი, ან ფშავ-ხევსურნი, გურულნი და სხვანი. რამდენსამე ქართულის მცოდნე კაცს კიდეც უკისრნია მეცნიერ გერმანელის დავალებულის შესრულება.

*** გორი: მარიამობისთვის 25, დილის ათს საათზე, მოხდა შემაძრწუნებელი მკვლელობა ზედ დიდის ქუჩის გამოსავალში, ჯვარედინს ქუჩაზედ. შემაძრწუნებელია თვით ამბავი, ხოლო კიდევ უფრო შემაძრწუნებელია ის მიზეზი, რომლის გამოც მოხდა ეს მკვლელობა. გორის სასულიერო სასწავლებლის ახალის სახლიდგან რომ გაიხედოთ აღმოსავლეთისაკენ, დაინახავთ მთელს ესრედ წოდებულს ძველს „პოსელენიეს". ამ სასწავლებელს ჩრდილოეთის მხრივ მისდევს ქუჩა, რომელიც დიდს ქუჩას შუაზე ჰყოფს და მიდის პირდაპირ ძველს „პოსელენიეში". აი, ამ ჯვარედინის ქუჩის გამოსავალთან მოხდა მკვლელობა. ამ გამოსავალთან არის მიკიტნის დუქანი, მეორე მხრივ ზის ხაბაზი და მერე დიდის ქუჩის პირად, იქვე გამოსავალთან, რამდენიმე ხილეულობის დუქანია. პირდაპირ ამ ქუჩის გამოსავალს დასავლეთის მხრიდგან უცქერის მიკიტნის დუქანი. ამ ალაგას მუდამ დიდი მოძრაობაა ხალხისა. მე, ამ სტრიქონების დამწერი, და ბევრნი სხვანი ვიყავით სასწავლებლის ერთს კლასში, რომელიც გასცქერის მოხსენებულს ქუჩას ამ კლასში განმეორებითს ეგზამენებს იჭერდნენ ბავშვები. უცებ გულის შემზარავი და სასოწარკვეთილი ხმა გაისმა დარბაზში: „ქალი მოჰკლეს, ქალიო". მე მაშინვე გამოღებულს ფანჯარას ვეცი და გავყვირე მედუქნეებს: უშველეთ, უშველეთ! მაგრამ არავინ მიეშველა, თუმცა გულქვა მედუქნეებს კისრები წაეგძელებინათ და შესცქეროდნენ საბრალო მსხვერპლის წივილ-კივილსა და სისხლს. აი ფანჯრიდგან რა დავინახეთ: ქუჩის გამოსავალთან, მიკიტნის დუქნის დარაბებთან, ვიღაც ახალგაზდა კაცს მარცხენა ხელით დაუბღუჯნია ქალის თმა და მარჯვენათი პირდაპ-რა სცემს ხანჯალს და ტარამდე დაჰყავს გულ-გვამში. მე ველარ მოვითმინე, გამოვარდი და თან გამომყვნენ ბავშვების მშობლები. მივაძახე მკვლელს: ვინა ხარ, ანებე თავი მაგ ქალს-მეთქი! ამ დროს ქალი პირ-ქვე გაერთხო მიწაზე, მოურბინა მკვლელმა, მოიხარა მუხლი და მარჯვენა გვერდში დასცა ხანჯალი ტარამდე. ქალი სრულიად აღარ ინძროდა, მაგრამ გამოაძრო თუ არა ხანჯალი, მაინც დაუსწორა საბრალო მსხვერპლს თავში, დაჰკრა დიდის ძალით და თავის ქალამ საშინელი ხმა მოიღო. მაშინ, მხოლოდ მაშინ გაუტყდა ხანჯალი, რომელსაც დახედა და ჩემსკენ გადმოაგდო, რუს ნაპირას. გადმოაგდო ხანჯალი და მეც გადავხტი რუზედ. დავხედე ქალსა, ავწიე ხელს, თავს, მაგრამ იგი უკვე მომკვდარიყო და სისხლის მორევში სცურავდა. მკვლელი ჩქარის ნაბიჯით წავიდა უკან. ამას წინ

## ფელეტონი

### ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად თ. ა. ი. სუმბათაშვილისა.

მოქმედება მეორე *)

ერთს საუკეთესო სასტუმროთაგანში მდიდრულად მორთულ-მოწყობილი კაბინეტია. სამი კარები აქვს: მარჯვენას ნინოს საწოლ ოთახში მიჰყავს, მარცხენას — სასადილოში და შუა განიერი შუშის კარები-კი ყვავილებით მოფენილს აივანზედ გადის. ამ კარებიდგანვე სჩანს ბაღი და ბაღს იქით სახლის კედელი. ოთახშია ხალები, ყვავილები, ბრინჯაოს ნივთეულობა, სურათები და მშვენიერი ავეჯი.

I

პროპორიევი კოხტად მორთული შემოდის, არინა-კი სცენაზეა და მარჯვნივ აპირებს გასვლას.

პროპორიევი. ააა, უსათნოესო ქერივო! მობრძანდით კიდეც? რა ამბავი მოგვიტანეთ.

არინა. ძალიან ცუდი, ბატონო გიორგი, ძალიან.

პროპორ. რაო, ძაღლები დაგადევნეს თუ?

არინა თითქმის რომ აგრე იყო.

პროპორ. მერე ვინ მოგექცათ ასე.

არინა. ჩემი საყვარელი სიძე, მაგრამ რა ისა, ყველანი, მთელი სახლი. ვიღაც ბებერი დედაკაცი პირდაპირ ყელში მწვდა. მთელი ბუდე გაუშენებიათ, ვიღაც ყმაწვილი ქალი ქალბატონობს, იმასთანავე სცხოვრობს დედა და ერთიც კიდევ ვიღაცაა, სამოქალაქო წოდების გენერალსა ჰგავს, ყვითელი სახე აქვს და თვალებს-კი თაგვსავით აცეცებს აქეთ-იქით. რაღა თქმა უნდა, როგორც კეთილშობილს დედაკაცს შეეფერება, დიდის თავმომწონებით გამოვცხადდი იმათ წინაშე, მაგრამ სურვილი არ გამიხორციელდა. დავძარ თუ არა კრინტი და ანიკოს დედა ვუხსენე, ჩემმა სერიოჟამ ყოველივე პატივისცემა დაივიწყა და დამიღრიალა, ქალი მაშინვე შიგნით შეჰგზავნა და მე-კი თითქმის კინწის კვრით დამითხოვა. გესმის, კინწის კვრით დამითხოვა თავისი სიდედრი, თითქმის მშობელი დედა! მე მაინც იმათი ალიაფალი კარგად გამოვიწვრილე და ყველაფერი ნინოს ვუამბე.

პროპორ. ნინო, წავიდა?

არინა. კურჩინებისა და ბიკაევის ქალის სანახავად წავიდა.

პროპორ. ძალიან კარგი, პეტერბურგში ისინი არაფრად ჩასაგდებნი იყვნენ, მაგრამ აქ-კი მაგათთანა წვრილმანნიც გამოსადეგნი და გამოსაყენებელნი არიან. ამბობენ, რომ აქ ეგენი პირველობენ და დანარჩენი მაგათ აძლევს ბანსაო.

არინა. ნუ თუ მართლა? იქ-კი მაგათ სხვა სტუმრებში არც-კი არჩევდნენ და ზედაც არავინ აფურთხებდა და.

პროპორ. რა არის, რა ნაირის სიტყვების სროლა იცით: „ზედაც არავინ აფურთხებდა"? თორმეტის წლის განმაელობაში ისე როგორა ჰკვრეთ სამადლოდ სუფრები, რჩეულს საზოგადოებაში იცხოვრეთ და მაგისთანა სიტყვების თქმა-კი ვერ დაიშალეთ. დაგავიწყდათ, რომ თქვენის განსვენებულის მეუღლით პეტერბურგში ყველაფერს ფერს თქვენა სდებდით და მეთაურობდით. თქვენი ქმარი კარლ-ალექსანდრე-მარია-ფრიდრიხ მეიერი ჩვენ ფონ-მეიერადაც-კი გადავნათლეთ. ადვილი სათქმელია! ნახევარს პეტერბურგს მოეუყარეთ თავი იმის დასაფლავებაზედ. მგონი სიზმარშიაც არ მოელანდებოდა, როცა სადღაც უსტსისოლსკში ორკესტრის დირიჟორად იყო, რომ ისეთის ამბით დაჰმარხავდნენ. თქვენა... ორის სასწავლებლისა და ერთის სამკურნალოს მზრუნველად იყავით ამორჩეული, ხუთს კომიტეტში წევრობდით, და მაინც კიდევ ისეთს სიტყვას წამოისვრით, რომ გააკვირვებთ და გააოცებთ ადამიანს.

არინა. (ნაღვლიანად) მესმის, განა პირველი თქმა არის, მაგრამ რას იზამ, ისეც მთელი ჩემი სიცოცხლე...

პროპორ. კარგი, კარგი, არ მოგაცდენთ. სასტუმროში წავალ პატარა ხანს. როცა ნინო დაბრუნდეს, შემატყობინეთ!.. (არინა გადის და თან ამბობს: „ძალიან კარგიაო") აა, აგერ ნინოც მოდის... მარტოც არ არის... ბაა, კურჩინისა მოჰყავს თან... ეტლში უკან კიდევ მისი აღმატებულება ბრძანდება... კარგი მაჩანჩალაა, რომ მეტი არ შეიძლება... აბა ჯერ-ჯერობით მივიმალოთ... (გადის. თითქმის იმავ წუთს აივნიდგან შემოდის ნინო, მდიდრულად და ლაზათიანად მორთული, კურჩინისასთან ხელ-გაყრილი და ამათ უკან კურჩინი მოსდევს).

II

ნინო, ელენე და კურჩინი.

ნინო. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ესეც ჩემი კარავი, ჩემი სამგზავრო და სამხედრო ფარდული. (კურჩინს ხელს ჩამოართმევს და ელენეს-კი აკოცებს) დედაჩემო! აქ გამოდით, ჩვენები გვეწვივნენ... ჩვენები, პეტერბურგელები.

არინას ხმა. ვინ ჩვენები?

ნინო. (უსიამოვნება დატყობა ოდნავ სახეზედ) საიდუმლოა... გამოიხედეთ!.. (არინა შემოდის)

III

ისინივე და არინა.

არინა. უფალო შემიწყალე! თქვენო აღმატებულებავ... ელენე! აი კაი ამბავი თუ გინდათ, ეს არის! (კურჩინისას აკოცებს)

ნინო. დედაჩემო, წარმოიდგინე, მივედი ელენესთან და თურმე მთელი ქალაქი ლაპარაკობს კიდეც ჩემზედ, რომ ვიღაც უცნობი ქალი მოვიდა ჩვენ ქალაქშიო. ერთმანეთს უწერენ ჩემს გარეგნობას, ჩემს ეტლს, ცხენებს. ერთის სიტყვით, მშვენიერი და საუცხოვო რა მოუგონიათ, მე ვარ უცნობი ქალი? ასეთის როლის თამაშობა ჩემთვის სულ ახალი ამბავია... ჩემმა მეგობრებმა მარტო არ გამომიშვეს და საყვარელი ელენე ერთს დღეს გვიმსხვერპლებს, რომ ჩვენთან იყოს და ჩვენთან მოიწყინოს.

ელენე. ახ, ღმერთო ჩემო! იცხოვროს ადამიანმა ამ უდაბნოში ხუთი წელიწადი და შემდეგ თქვენ შეგხვდეთ... ვერა, ჩვენ თავს ვერ დაგანებებთ... ხომ ხედავთ რა ბოროტად გექცევით. ჩვენ მოწყენილნი ვართ და თქვენც ჩვენთან ერთად ჰზიდეთ ეს უღელი...

კურჩინი. რა მოხარული ვარ, რომ იცოდეთ, თქვენს ნახვას, ბატონო არინა. ასე მგონია, ისევ პეტერბურგში ვართ-მეთქი, თქვენსას, იმ ჩვენის ჯაფისა და შრომისაგან დასასვენებელს ადგილს. ჩვენი ახალგაზდობა

*) იხ. „ივერია" №№ 175, 176 და 181.

შეხვდნენ წესის დამცველნი და დაიჭირეს. მალე შეიყარა ხალხი, მოვიდა სამი-ოთხი ექიმი, პოლიცია, გასინჯეს და თორმეტ-ცამეტი ჭრილობა აღმოაჩნდა საბრალო ქალს. ისე შეუბრალებლად, გამოანგარიშებით სცემდა ხანჯალს, რომ ყასაბი ვერ იზამდა ამას. მთელი გულ-გვამი დაჩერეტილი ჰქონდა ხანჯლით. გულიდგან ხანჯლის წვერი გასულიყო ზეჭის ქვემოდ და სისხლი წყაროსავით სჩქეფდა. მკვლელი არის სამტრედიის მცხოვრები ვიქტორ ახობაძე, მოკლული ქალი—ტასია მიქელაძისა კულაშიდგან. ახობაძე ცოლ-შვილიანი კაცია, გადაჰკიდებია ამ ქალს. ქალს დაუთხოვნია ეს კაცი, როგორც წინა დღით პოლიციაში უჩვენებია, იმ მიზეზით, რომ ცოლ-შვილიანი კაცია, აღარა მსურს მაგასთან ცხოვრება და მაგისი შენახვა, არა მსურს გაუბედურდეს ცოლიანი კაცი ჩემთან ცხოვრებითაო, ამიტომ იმერეთიდგან გამოსცლია ტ. მიქელაძისა. გადმოსულა დ. ცხინვალში და აქ ფარულად უცხოვრნია. ახ—ძე დასდევნებია, ორი თვე მეტი უდევნია უკან, ბოლოს მიუგნია ბინა, მიუცია საჩივარი გორის მაზრის უფროსისათვის, რომ ტ. მი—სამოცი მანეთი ფული და პასპორტი მომპარა და ცხინვალში იმალებაო. ქალი ჩამოიყვანეს. რის ფული, რის პასპორტი! ტყუილი გამოდგა. ახ—ძეს დედ-მამა ძალიან შეძლებულნი არიან თურმე და სცხოვრობენ სამტრედიაში. წინა დღეებში, სანამ მკვლელობას ჩაიდენდა, მამას კაცი ჩამოეგზავნა გორში და ფული გამოეგზავნა შვილისათვის, რომ შინ დაბრუნდიო. ეხვეწნენ თურმე ნაცნობები: წადი, თავი გაარიდე, რას გადაჰკიდებიხარ მაგ ქალსაო, მაგრამ არა ჰქნა. ახობაძე ამ ჟამად გორის საპატიმროშია დაპატიმრებული და გამოძიება სწარმოებს.

*** **იქიდამვე:** გორის ქალაქის მოურავის არჩევანი იქნება ენკენისთვის ათში. მომეტებულს ნაწილს ხმოსნებისას უნდა სხვაგნებურის კაცის არჩევა და ამბობენ რომ გორელი არ გვინდა, თუნდ ვარსკვლავით მრიცხველი იყოსო. ასახელებენ პირველ კანდიდატად ფოთის ქალაქის მოურავად ნამყოფს გენერალ-მაიორს ბ ნ ვახრამოვს. ერთობ შესანიშნავია ხმოსნების საქმე ამ საგნის შესახებ და ამიტომ ამაზედ ვრცლად მოვილაპარაკებთ მკითხველებთან ამ მოკლეს ხანში.

*** **მეჯვრისხევი:** ჩვენს სოფელში ამ ზაფხულს საქონლის" ჭირი გაჩნდა და სულ მუსრი გაავლო; ზოგს სულ ერთიანად გაუწყვიტა საქონელი. ჩვენებური ხალხი, ისეც გაჭირებული მოუსავლობით, დიდს გაჭირებასა და საგონებელში ჩავარდა.

*** **გორი:** სასულიერო სასწავლებელი გორისა გადავიდა მარიამობისთვის 13-დამ ახალს სახლებში, კურთხევა სახლებისა და სასწავლებლისა, როგორც ამას წინად იყო მოხსენებული „ივერიაში“, იქნება ენკენისთვეში. მობრძანდება მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესება ეგზარხოსი პალადი თუ არა, არა ვიცით-რა. წელს შარშანდელზედ ბევრად მეტია სასწავლებელში შესვლის მსურველთა რიცხვი. შარშან სამოცამდე იყო, წელსკი ოთხმოც და-ათამდე ავიდა. მომეტებული ნაწილი მთხოვნელებისა გლეხკაცობა. შარშან თუ უსახლობის გამო უთხრეს ზოგიერთებს უარი, წელს, მგონი, ყველა მთხოვნელნი დააკმაყოფილონ.

** **მეტეხი:** ამას წინად გავარდა ერთი უცნაური ხმა: ერთი დოესელი დედაკაცი ახირებულიყო და ყველას იმას შესჩიოდა თურმე, რომ მეტეხის ღვთის მშობლის ხატი, რომლის დაკარგვა და მოპარვა ეკკლესიიდგან საარაკო ამბად გადაიქცა, ამა-და-ამ ალაგას არის ქურდებისაგან დამალულიო, და ალაგსაც უჩვენებდა ერთს საფლავზედ. ხალხს ძალიან სურდა, ცნობისმოყვარეობა სწვავდა, რომ შეეტყო, მართალია ამ დოელის დედაკაცის წინასწარმეტყველობა, თუ არაო. ზოგი ამბობდა: ალბად იცის რამე, ალბად ნახული ჰყავს ხატი, ის კაცები და ის ადგილი, სადაც იგი დაჰფლეს, თორემ გულთმისანი ხომ არ არის, რომ გაიძახისო. ეს ამბავი სურდათ ალგილობრივის მთავრობისათვის გამოეცხადებინათ, მაგრამ ვერც ამასა ჰბედავდნენ. დღეს კი, როგორც გავიგეთ, დიაცის ახირებულს სიტყვას გაუჭრია და გაუჩხრეკიათ მისგან დასახელებული ადგილი, მაგრამ რა ხატი, რა შეგინახავს, რას ეძებ. ახლა ამას სჩივიან, ვაი თუ მართლა იქ იყო და დროზედ არ მოვეპატრონეთო. მაგრამ ამას რა დიდი ჭკუა ლარი და ხაზი უნდა: თუ იქ იყო, მიწას შეეტყობოდა, ნათხარი იქნებოდა, მაგრამ ამისთანა არა მომხდარა რა.

*** **ბარის ოსები:** ბარის ოსები დალაგ არიყში (სალუფსში) მიწებს იქირავებენ და პურსა სთესავენ ხოლმე, რადგანაც იქ ძლიერ კარგი მოსავალი იცის ამ თთვის ნახევარში ძნები სულ ერთიანად გადაუწვეს ვიღაცა ბოროტმა კაცებმა სოფლებს: ხუმელაგას, ზილგეს და ბესლანიყაუს. ეს სამი სოფელი თავიანთ ძნების გადაწვას აბრალებენ იქვე ახლო მცხოვრებ ქიშტებს. ზარალი ორას თუმნამდე არის. ამ საქმის შესახებ გამოძიება უკვე სწარმოებს.

*** **სოფ. ხუმელაგა** (კავკავის მაზრა): ხუმელაგაში ერთ ნაირი საქონლის სატკივარი გაჩნდა. საქონელს მოულოდნელად ზოგს ბარკალი დაუსივდება, ზოგს ბეჭი და სხვ. ერთი დღე აღარ ცოცხლობენ, იხოცებიან. დასივებულ ალაგს რომ გაუჭრიან ხოლმე, ნახშირივით შავია და თან ქაფი აქვს. ჯერ არავისთვის არ უცნობებიათ ეს ამბავი.

◆◆

## უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. ავსტრი ვენგრიაში საქმე ისეა დღეს, რომ სტარო-ჩეხებს ბლომად ჰყავთ თავიანთი წარმომადგენელნი ავსტრიის პარლამენტში და კალნოკის სამინისტრო ამ დეპუტატების მომხრეობით არის იმედიანად. ამის სამაგიეროდ კალნოკი ჰპირდება სტარო-ჩეხებს, რომ ნელ-ნელა, თანდათან თქვენს საკუთარს საქმეებსაც ყურადღებას მივაქცევთო. სტარო-ჩეხებიც კმაყოფილნი არიან ამ დაპირებით. იმათ საიმისოდაც თავი არ სტკივათ სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის, რაკი კერძოდ თითონ კეთილდღეობაში არიან, მოწყალება დიდი აქვთ მთავრობისაგან და ამას გარდა თითქმის ყველანი მემამულენი, მებატონები და გამდიდრებული ვაჭარმოქალაქენი ბრძანდებიან.

სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფებიან მლადო-ჩეხები. მლადო ჩეხები უფრო თავ-გამოდებით მოქმედობენ, უფრო გული შესტკივათ ჩეხის ბედნიერებისათვის: ამ დასში უმეტესი ნაწილი უბრალო ხალხია, შუათანა შეძლებისა, მასწავლებლები, წვრილნი მოხელენი, მოვაჭრენი და ნასწავლი ახალგაზდობა. ესენი პირში ებრძვიან სტარო ჩეხებს, ეუბნებიან დაუფარავად, რომ თქვენ ელაქუცებით მთავრობას, არას სცდილობთ თქვენის სამშობლო ქვეყნისათვის; მოითხოვეთ, რაც გვიჭირს, ან არა-და, ჩვენ მოვითხოვთ, რაც საჭიროა ქვეყნისათვისაო. თქვენმა ცდამ, თქვენმა სიფრთხილემ, თქვენმა დღეს-ხვალიაობამ და ლაქუცმა მთავრობის წინაშე გული გაგვიწყალა და ახლა ჩვენ თქვენი აღარა გვჯერა-რაო. ჩვენ გვინდა და ვითხოვთ კიდეც, რომ იმპერატორი ავსტრი-ვენგრიისა ჩვენს სამეფო ქალაქში დაგვირგვინდეს და დაიდგას თავზედ გვირგვინი ჩვენის მეფის წმ. ვიაჩესლავისა; ჩვენ გვინდა და ვითხოვთ კიდეც, ჩვენს ქვეყანაში ჩვენი ენა იხმარებოდეს ყველა საქმეთ-წარმოებასა და დაწესებულებაში; ჩვენ გვინდა ჩვენი საკუთარი სკოლები, ჩვენ გვინდა საკუთარი თვითმართველობა. თქვენც თუ გიყვართ თქვენი ქვეყანა, მოგვეშხრეთ, თუ არა-და, სამშობლოს მოღალატედ დაგსახავთო.

სტარო-ჩეხებს ასეთი ლაპარაკი მლადო ჩეხებისა არ მოსწონთ და ძალიანაც სწყინთ: ვიღაც გუშინდელი ბიჭ-ბუჭები გამოსულან და ჩვენ, მოხუცებულებს, ჭაღარა-შერეულებს და საპოლიტიკო საქმეებში დაბერებულ-გამოჩრძმედებულებს, პირში გვებმიანო. ეს ლაპარაკი უფრო სწყინთ სტარო-ჩეხების მომხრე მებატონე-მემამულეებს, მდიდარს დიდ-კაცობას, რომელნიც მლადო-ჩეხებს ათას გვარ ცილსა სწამებენ და მათის სახელის გატეხას ჰლამიან.

ასეთმა ბრძოლამ ამ ორ დასს შორის იქამდე მიაღწია, რომ მთელი ერი ჩეხიისა ორად გაიყო: ერთი, უმცირესი ნაწილი, მიეკედლა სტარო-ჩეხებს, ხოლო მეორე, უმრავლესი,—მლადო-ჩეხებს. ამის გამო სასეიმო არჩევანებზე, რომელიც ირჩევს დეპუტატებს პარლამენტში გასაგზავნად,

---

რომ ნინოს თაყვანისცემაში იყო, ჩვენ, ხომ გახსოვთ, თქვენს ოთახში შევძუნძულდებოდით ხოლმე და იქვე იყო მწვანე სტოლი, თავადი სერგეი, ჩვენი საყვარელი გიორგი, ბარონი კარლი და მე... არა, არა, აქ სულ სხვა...

ნინო. აქ რაღაა? რას აკეთებთ? როგორა სცხოვრობთ? წრე არსებობს, თუ არა?

ელენე. წრე... თითქმის რომ... მაგრამ ჩვენები-კი ძალიან ცოტანი არიან, ძალიან... მეტად არეული საზოგადოებაა.

კურჩინი. მერე როგორ დასთმეთ და როგორ დაანებეთ თავი პეტერბურგს? განა თავის ნებით ადამიანი ამას ჩაიდენს?

ნინო. თავის ნებით? არა.. მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს და ძალიან საპატიო მიზეზიც.

კურჩინი ჰოო?

ნინო. დიაღ, მე აქ ჩემმა უწმინდესმა მოვალეობამ მომიყვანა.

ელენე. (დიდის ცნობის-მოყვარეობით) ნუ თუ მართლა?

კურჩინი. მოვალეობამ?

ნინო. დიაღ. აქა სცხოვრობს ჩემი ქმარი და ჩემი ქალიშვილი...

კურჩინი. თქვენი ქმარი .. მოითმინეთ .. ჰო, ვიცი.., ეოლინცევი?

ელენე. ახ, ღმერთო, რატომ აგრე გაგიოცდება ხოლმე ყველაფერი? ვინ არ იცის ეს ამბავი? (ნინოს) მერე, დაგიბარათ განა აქ? ეგრე იქნება, ამ საზიზღარ ქმრებს ხომ ყოველივე უფლება აქვთ მიჩემებული. კურსები არ მომისმენია, მაგრამ ამ შემთხვევაშიკი იმის მომხრე ვარ, რომ კაცები და ქალები გათანასწორებულნი იყვნენ კანონის წინაშე და ერთ გვარი უფლება ჰქონდეთ... წარმოიდგინეთ, ეს ამბობს (ქმარზედ მიუთითებს), რომ ქმარს ნება აქვს ცოლი დაიბაროს და ძალათი დაასახლოს თავისთანაო.

კურჩინი. დიაღ, როცა უნდა და სადაცა ჰსურს.

ელენე. თქვენი ქმარიც ხომ ასე არ მოგქცევიათ?.. ძალათი თავისთან დაასახლოსო! რა უზრდელობაა და უკადრისობა!

ნინო. თუ რა სასურველია ჩემი ნახვა ჩემის ქმრისათვის, ამას ის გარემოება ამტკიცებს აშკარად, რომ იძულებული ვიყავ სასტუმროში ჩამომხტარიყავ, და ამავე დროს ჩემის ქმრის სახლში-კი, ჩემს ქალთან ერთად, სცხოვრობს...

ელენე. (ხანგრძლივის ამოოხვრით) ახ, ნულარ განაგრძობთ, თუ ღმერთი გწამთ! ეგ ქალი სწორედ საშინელი მაფრთხობელაა, მთელის ჩვენის საზოგადოებისა. აგრე იქცევა ყველას თვალ-წინ... აშკარად... ყმაწვილის ქალის წინაშე... უკანონოდ სცხოვრობს...

კურჩინი. სწორედ შემაძრწუნებელია ეგეთი საქციელი!.. თვით გუბერნატორმაც-კი მიაქცია ყურადღება.., ოო, მე რომ იმის ადგილას ვიყო, ოც-და-ოთხს საათში გავათავებდი ამ საქმეს და...

ნინო. დიდი ხანია ვეხვეწე და ვევედრე ჩემ ქმარს, რომ შვილი დაებრუნებინა ჩემთვის... ღმერთმა გაუწიოს სამართალი... რა ვქნათ, ვერ მოვურიგდით ერთმანეთს ხასიათით. ეხლა თვალითაც-კი არ მინდა დავინახო. (ამოიოხრებს) დიდი ხანია ვაპატიე თავისი დანაშაული. იმასაც-კი დავთანხმდებოდი, რომ ჩემს მოვალეობას დავმორჩილებოდი, დავბრუნებულიყავი ჩემს ოჯახში და ამეტანა ყველა ის, რის ატანასაც ღმერთი დამდებდა ვალად, მაგრამ არ უნდოდა, ის ამჯობინა, რომ თავისუფლად... მაგრამ არა, არ გავკიცხავ და არ განვსჯი. ღმერთი შემეწევა და არ დამკარგავს.

ელენე. ანგელოზი ხარ, ნინო, ანგელოზი.

ნინო. მაგრამ როცა გავიგე, რომ ჩემს ქალთან ვიღაც არა-საკადრისი ადამიანი სცხოვრობდა და ჩემს შვილზე გავლენა ჰქონდა... მაშინ-კი ვეღარ მოვითმინე, ყველაფერს თავი დავანებე და მოვედი, რომ ჩემი უფლება არავის შევალახვინო...

ელენე. ჩვენც მხარში ამოგიდგებით. ის ისეთი დედაკაცია... ყველას გვარცხვენს და თავსა გვჭრის... იცოდეთ, რომ ის... არც-კი ვიცი, რა დავარქვა... ის დედაკაცი... ის ყმაწვილი ქალი ჩვენის წრისაა... შეძლებულია და კარგის შთამომავლობისა. ერთის სიტყვით, შეძრწუნდებით და გული აგიშფოთდება... მერე რომ იცოდე, რა გულ-ზვიადად და ამაყად იქცევა, რა ზიზღით აქცევს ზურგს საზოგადოებრივს აზრს... (გატაცებით) ჩვენც შენს მხარს დავიჭერთ, დიაღ, შენკენ ვიქნებით, შენკენ.

არინა. არა, წარმოიდგინეთ, როგორ არ უნდა მეთუთქებოდეს გული?.. ნულარას გამაგონებთ, თუ ღმერთი გწამთ... ჩემი შვილი-შვილი ვნახე დღეს... ოდნავ მოვკარი თვალი... მივედი სერგეისთან და რომ იცოდეთ, როგორ დამიხვდა კეთილშობილს ადამიანს, ღვიძლს სიდედრს და თითქმის დედასაც-კი? წარმოიდგინეთ, თავი და ფეხები ძლივს წამოვილე მთელი... (მიშით შეჰყურებს ნინოს) არა, მე ისევ წავალ... (ტირილით) მეტად აღელვებული ვარ და მუხლები მიცახცახებს .. (გადის აცრემლიანებული)

IV

ისინივე უ-არინოდ და შემდეგ პროპორიევი.

ნინო. რა მადლობელი ვარ, რომ აგრე გულ მხურვალედ მომექეცით მოვდიოდი აქ და გული მიღონდებოდა: რას შევიძლებ-მეთქი მარტო? ვინ წამომესარჩლება-მეთქი... ვინ დამიხსნის შვილს?

კურჩინები. ჩვენა და ყველა ჩვენებიც. (პროპორიევი შემოდის)

პროპორ. მეცა.

კურჩინი. ვისა ვხედავ! ბატონო გიორგი.

პროპორ. (ქალებს ხელებზედ აკოცებს) თითქოს რაღაც უხილავი ძალა მომეზიდებოდა აქეთ და არც უბრალოდ, სწორედ გითხრათ, ფიქრადაც არ მომივიდოდა, თუ ამისთანა მშვენიერს ხალხსა ვნახავდი. მოითმინეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჯერ დრო მომეცით ერთი თქვენის მეუღლის ცქერითა და ყურებით დავსტკბე.

ელენე. ახ, ღმერთო, ეს ჩვენი ჭაღარა-ფაფრიანი ლომიც აქა ყოფილა! მერე რატომ ადრევე არ მითხარით, თქვე უკეთურო, თქვენა.

პროპორ. დიაღ ფაფარი შემქნია ჭაღარა!.. მარტო ოდენ ლა გული მიცემს უწინდელებრ მხურვალედ და ჭაბუკად. აბა, თქვენო აღმატებულებავ, ეხლა თქვენთვის მოვიცალე.

კურჩ. (მოუხვევს) ძალიან მიხარის თქვენ ნახვა, ძალიან! დღესვე დავეტაკნეთ ერთმანეთს, უეჭველად უნდა მოგიგოთ. არა, აქ რამ გადმოგაგდოთ, სამსახურში აპირებთ შესვლას თუ?

პროპორ. არა, თქვენო აღმატებულებავ, მე, ვითარცა დონ-კიხოტი, მზადა ვარ ყველგან გადავეფაროს სიმართლეს, მზადა ვარ მთელი ჩემი ძალა და ღონე, თუ საჭირო იქმნა, წმინდა საქმეს შევალიო და ვანაცვალო, მაგრამ სამსახურიკი .. არა... მეტად დიდად ვაფასებ თავისუფლებასა და სიზარმაცეს და არ შემიძლიან.

ნინო. ახ, რომ იცოდეთ რა კაი გული აქვს ბატონს გიორგის. როცა მარტო-ხელმა და უღონო და უშემწეო ადამიანმა ვუამბე რასაც ვიყავ განზრახული, იცით რა მითხრა?

პროპორ. რა დროს მაგაზე ლაპარაკია.

ნინო. მარტო ის-ღა სთქვა: მეც თქვენთანაო... მეც თან გამოგყვებითო... და მეტი არაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლახან მლადო-ჩეხებმა ძრიელ გაიმარჯვეს და სტარო-ჩეხები საშინლად დამარცხდნენ. ეს დამარცხება თავის მომხრე-მოკავშირეებისა ძალიან ეწყინა მთავარ-მინისტრსაც, გერმანიის დასსაცა და თვით იმპერატორს ფრანც-იოსებსაც. სტარო-ჩეხებს ხომ ჯავრით სისხლი უშრებათ. გაცხარებულმა სტარო ჩეხებმა აღარ დაჰზოგეს მლადო-ჩეხები და ჩასჩურჩულეს მთავრობას, რომ სდევნეთ ეგენი, თორემ მაგათი დემოკრატობა და გამარჯვება ხეირს არ დაგაყრით არც თქვენ და არც ჩვენაო.

მას დღეს აქეთია ჩეხიის მთავარ-მართებელიც, ბარონი კრაუზი, აღარა ჰზოგავს მლადო-ჩეხებს და ადმინისტრატებურის წესით სდევნის, რაც შეუძლიან, გაძლიერებულს მლადო-ჩეხების დასს. ამ ხანებში ამ მთავარ-მართებელმა აიღო და დაუკეტა ჩეხელებს „ჩეხიის საკადემიო სამკითხველო“, დაარსებული 1848 წელს. მლადო ჩეხების გაზეთს „Народны Листы“-ს ხომ სული აღარ ამოათქმევინეს და ნომერს ნომერზე უკრძალავენ და აღარ აყიდვინებენ.

სატყვას მოაქვს და უნდა ვსთქვათ, რომ ასევე იქცევა გალიციის მთავარ-მართებელი, რომელიც ამ ერთის წლის წინად სულ სხვაფრად იქცეოდა და დღეს-კი მძვინვარედ სდევნის რუსინების გაზეთებს. ამ მთავარ-მართებელმა ერთი და იგივე გაზეთი სამის კვირის განმავლობაში ათჯერ აღკრძალა, ესე იგი ათი ნომერი შეიპყრო და აღარ გააყიდვინა. ერთი გაზეთი, სახელდობრ „Dino“ კიდევ იმაზედ შეაყენა, რომ შიგ წერილი იყო დაბეჭდილი რუსინების ყოფა-ცხოვრების თაობაზე. რედაქციამ გაზეთი ხელ-მეორედ დაბეჭდა და იმ წერილის მაგიერ, რომელიც მთავარ-მართებელს არ ესიამოვნა, ჩაურთო ფსალმუნი სინანულისა. ამაზედაც გაწყრნენ და ეს ნომერიც აღკრძალეს.

აი ასეთი დევნა დაუწყო ჩეხლებსაც მათმა მთავარ-მართებელმა ბარონმა კრაუზმა ზოგი სტარო-ჩეხების შთაგონებით, ზოგი—უმაღლესის მთავრობის სურვილით.

მაგრამ ყველაზე მეტად მლადო-ჩეხებს ეწყინათ დაკეტვა „ჩეხიის საკადემიო სამკითხველოსი“, რომელიც აგერ ორმოცს წელიწადზე მეტია, რაც არსებობს. ყველას წარმოვიდგენდით და, რომ მაგ დაწესებულებას ხელს ახლებდნენ, ეგ-კი სწორედ არ გვეგონაო. მერე ხელ-მოსაჭიდი მიზეზი მაინც ყოფილიყო და საბაბი მაინც მიეცათ! სულ მცირე მიზეზი მოსდეს. სამკითხველოს ჰყავს 1,200 წევრი, უფრო სტუდენტობა და მლადო-ჩეხების დასის მომხრენი. წინად ეს სამკითხველო სტარო-ჩეხებისა ყოფილა და მერე მლადო-ჩეხებს დაუსაკუთრებიათ, რადგან მათში უფრო მეტი აღმოჩენილა „სამკითხველოს“ თანამგრძნობელი და ხელის-შემწყობელი. ამ ორის წლის წინად ამ სამკითხველოს სახეიმო არჩევანებშიაც დაუწყიათ მონაწილეობის მიღება და ეხლახან რომ საფრანგეთში საუნივერსიტეტო დღესასწაული იყო სორბონაში გამართული, სამკითხველოს იქ თავისი დეპუტაციაც გაეგზავნა და თან ასეთი წერილი გაეტანებინა.

„ძვირფასნო ძმანო! ჩვენ გვიყვარს საფრანგეთი, დიაღ, გვიყვარს და ვაღმერთებთ. აღტაცებითა და მოწიწებით შევცქერით მაგ ქვეყანას. განა საფრანგეთმა არ გაშალა და არ აღმართა ძლევა-მოსილი დროშა თავისუფლებისა, რომლისათვისაც ჩვენი ერი ჯერ ისევ შუა-საუკუნეებში ჰღვრიდა სისხლს!? ჩვენ ვართ შვილნი ჯერ-ჯერობით პატარა ერისა, მაგრამ მტკიცედ ვდგევართ ჩვენის მდიდარის წარსულის კვარცხლ-ბეკზედ. ამიტომ ამაოდ სცდილობენ ჩვენნი მტერნი, რომ გაქრონ ჩვენი ხსენება. ჩვენ კვალად მოვიხვეჭთ ჩვენს წარსულს დიდებას. ამისი თავ-მდებია ჯერ ისა, რომ გამოვფხიზლდით და გვესმის ჩვენი ვინაობა, და მერე ისა, რომ თქვენ, ძენო დიდის საფრანგეთის ერისანო, ჩვენთვის თანაგრძნობით გვეპყრობით და გვასულდგმულებთ. ლამპარი თავისუფლებისა, რომლის ნათელი ანათებს მთელს წარმატებულს ქვეყნიერობას, თქვენთვის დიდი ხანია ბრწყინავს. ჩვენც მოგვწვდა მაგ ლამპარის სინათლე და ჩვენც გვწადიან მივწვდეთ იმ იდეალებს, რასაც თქვენ უკვე მისწვდით. გიგზავნით ჩვენს ამხანაგებს. ისინი გიამბობენ, რა სიყვარული და თანაგრძნობა ღვივის ჩვენს გულში თქვენდამი; თქვენდამი იმიტომ, რომ თქვენ ხართ იმედი და სასოება თქვენის ერისა, თქვენით იწონებს თავს საფრანგეთი, ეს დიდი მოძღვარი იმისი, თუ როგორ უნდა სიყვარული სამშობლოსი და თავისუფლებისა. მაშ მიიღეთ ჩვენი ამხანაგები, ჩვენი დესპანები. ისინი გიამბობენ, რა აღტაცებით, რა განუსაზღვრელად გვიყვარხართ და გეთაყვანებათ „საკადემიო სამკითხველოს“ საზოგადოების კომიტეტი“.

აი ეს წერილი გახდა საბაბად სამკითხველოს დაკეტვისა. საბაბი ეს იყო, თქვენ პოლიტიკაში გარევის ნება არა გაქვთო, მაგრამ ნამდვილი მიზეზი-კი სწორედ ის არის, რაც ზევით მოვიხსენიეთ, თუმცა სტარო-ჩეხების მეთაურმა უხუცესმა დოქტორმა რიგერმა და იმისმა გაზეთმა „Politik“-მა ძალიან გაიკვირეს და გაიოცეს ეს ამბავი, გასაოცებელიც იყო მათთვის. მეთაურს გარდა, იმის დასში ათასი ურევია ორპირი და მოღალატე. თითონ რიგერი და მისი გულ წრფელი, ერთგული მეგობრები, ეჭვი არ არის, ნამდვილად დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ხერხი და პოლიტიკა სჯობია ქვეყნისათვის, ვიდრე გულ-ახდილი ლაპარაკი, პირ-ღიაობა და ძალით-ძალაობა მლადო-ჩეხებისა, მაგრამ უმეტესნი-კი მისის დასისანი იუდები არიან, რომელთაც ქვეყანაცა და ქვეყნის საქმეც ფეხებზედ ჰკიდიათ და ამიტომ ნალოსავით რიგერის პოლიტიკას ასთრევიან,—ის უფრო ფრთხილი კაცია, დარბაისელი, მთავრობას არ მოიმდურებს და, როგორცა ვართ დღეს, ამავ კაი ყოფაში დავრჩებით, მლადო-ჩეხების ხსენება უნდა გაწყდესო. იმათ ქვეყანას-კი ეგებ მართლა უშველონ, მაგრამ კერძოდ ჩვენ კეთილს არ დაგვაყრიანო... აი ამ წყაროდამ მომდინარეობს სიძულილი ზოგიერთის სტარო-ჩეხისა მლადო-ჩეხების მიმართ და სწორედ ამ გრძნობით ხელმძღვანელობენ კიდეც, როცა მთავრობას ჩასჩურჩულებენ და აქეზებენ; სდევნეთ, ვინ ჰყრიან ეგენი, მაგათ მთა და ბარის გასწორება უნდათო...

მთავრობაც სდევნის, მაგრამ რაღა დროს! ეროვნული თვით-ცნობიერება, მამულის სიყვარული ისე გაძლიერებულია ჩეხებში, მწერლობა ისეთს ძალ-ღონეზეა, ნასწავლი ახალგაზდობა ისე გამრავლებულია, თავგამოდებულნი მეთაურნი და მებრძოლნი საერო საქმისათვის იმდენნი არიან, რომ ეხლა დევნა ასე სიღრმე სიგანით ფესვ გადგმულის მამულიშვილობისა ფუჭი საქმეა. და ან ვინ არ იცის, რომ დევნა საფრთხილო საქმეა. ხშირად დევნის გამო მთელს ერს თოფის წამალივით უფეთქნია და რუები წამომდგარა თვით მდევნელთა სისხლისა...

◆◆

## დეპეშა

29 აგვისტო

კოპენჰაგენი. მემკვიდრე ცესარევიჩი აქედგან მიდის ხუთშაბათს კილით გერმანიის ჯარების მანევრებზე, რომელიც დანიშნულია შემოდგომისათვის.

ქვრივი იმპერატრიცა ვიქტორია მოვა აქ ორშაბათს, 4/16 ენკენისთვისას.

ლონდონი. გაზეთ „Times“-ს დეპეშით აუწყებენ სტამბოლიდგან შემდეგს: სულთანმა ბრძანება გასცა, რომ მინისტრებმა თათბირი იქონიონ იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შესაძლოა მოისპოს უწესოება სომხეთში. მინისტრები დავალებულნი არიან შეძლებისამებრ დააკმაყოფილონ სომხების, ის საჩივრები, რომელიც სამართიანი და საფუძვლიანი გამოდგება. სხვა-და-სხვა სახელმწიფოს ოსმალეთი ჰპასუხებს, რომ ყველა საჭირო ზომას ვიხმარ წესიერების აღსადგენად, ხოლო რომელსამე განსაკუთრებულს საშუალებას-კი არ მივმართავო.

ვენა. ერთს სამხედრო გაზეთში დაბეჭდილია იმპერატორის ბრძანება, რომლის ძალით თითო საარტილერიო პოლკში უნდა შეადგინონ თითო ბატარეა, გარდა ამისა იმპერატორმა ბრძანა შეადგინონ ოთხი ქვეითი როტა ბოსნიელთა და ჰერცეგოვინელთა. ამ ჟამად ითვლება 32 როტა, რვა ბატალიონად დაყოფილი.

მილანი დასწრო გუშინ გერმანიის სასკოლო საზოგადოების სხდომაზე და შესწირა ასი გულდენი.

ხმა დადის, ვითომ ერც-ჰერცოგმა კარლოს-ლუდოვიგომ, როცა ზემო-ავსტრიაში ათვალიერებდა „წითელის ჯვრის“ დაწესებულებათა, სთქვა: მართალია, საზოგადოება ყოველთვის მზად უნდა იყოს სამშობლოს სამსახური გაუწიოს, ხოლო იმედი-კი არის, რომ მშვიდობიანობა, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ათიოდე წელიწადს კიდევ გასტანსო.

კოპენჰაგენი. გუშინ რუსეთის სამეფო სახლობა და დანიის წავიდნენ შარლოტენბურგს, საცა საუზმე მიირთვეს დანიის მემკვიდრე პრინცისას. გზაზე დაათვალიერეს ციხე-დარბაზი ბერნსდორფი და სამხეცო და დაბრუნდნენ რკინის გზით ფრედენსბორგში.

---

ელენე. მართლა? რა კეთილ შობილურად მოქცეულა!

კურჩ. სწორედ ჩემი ხასიათი ჰქონია. ნება მიბოძეთ ხელი ჩამოგართვათ. მართალს ამბობთ, ქალებისთვის თავ-გადადებული უნდა იყოს კაცი.

პროპორ. დაუმატეთ, რომ სასტიკისა დაუღმობელის ქალებისათვისა-თქო.

ნინო. (მკაცრად) ბატონო გიორგი, ხომ გთხოვეთ...

პროპორ. (უკმაყოფილების კილოთი და თან პატივისცემით) ეჰ, ბატონო ნინო, ყოველთვის ხომ ვერ დაჩუმდება ადამიანი. ყველაფერს თავისი ზომა და საზღვარი აქვს. მართალია, თქვენ ენებათა ღელვა დაგითრგუნავთ და ყოველივე გულის-თქმა მოვალეობის გრძნობისათვის დაგიმორჩილებიათ, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ყველანი ადამიანიშვილები ვართ, მხოლოდ სიყვარულით ცოცხალნი, და ხანდახან ძალა და ღონე აღარ შეგვწევს...

ნინო. კმარა, კმარა.

პროპორ. აი ჩემი ცხოვრება და ბედნიერება, ბატონებო, ამ ათის წლის განმავლობაში!

კურჩინი. (იცინის) არც ზნეს იცვლის და არც ფერს განა! რა გაეწყობა, ჩემო კარგო. იმისთანა ქალები, როგორიც ნინოა... მაგათი ადგილი ოლიმპზეა და მხოლოდ იმიტომ არიან ამ ქვეყნად მოვლენილნი, რომ გვტანჯონ და გვაწამონ საბრალო მოკვდავნი...

ელენე. არა უშავს-რა, გარანინები ბევრნი არიან და უნუგეშოდ არ დაგტოვებენ.

ნინო. ვინა?

ელენე. ისა! (ნინო შეკრთება) გამაგრდით, ჩემო ანგელოზო! (ხელის ხმით) კიდევ გიყვართ თქვენი ქმარი?

ნინო. (თავს ჩაჰქინდრავს) ჩემდა საუბედუროდ! (მსახური შემოდის)

მსახური. ქ-ნი ბიკაევისა და ბ-ნი ხვოროსტნევი გახლავთ.

ნინო. სთხოვე მობძანდნენ.

V

ისინივე, ბიკაევისა, შავს აბრეშუმის კოხტად შეკერილს ტანისამოსში, და ხვოროსტნევი.

ბიკაევისა. გამარჯობა, საყვარელო ნინო. დღეს ორს ალაგას ვიყავი წასასვლელი და იქ ლაპარაკს შენთან წამოსვლა ვარჩიე. (დიდის სიამოვნებით ჰკოცნიან ერთმანეთს) ბატონო ელენე, როგორ გიკითხოთ! (ესენი დაჰკოცნიან ერთმანეთს) გენერალო, თქვენა... (ნინოს) ნება მომეცი მამაჩემი გაგაცნო, ბ-ნი ანდრია ხვოროსტნევი.

ნინო. (ხელს გაუწოდებს) დიდად სასიამოვნოა!

ხვოროსტ (მოწიწებითა და პატივისცემით ჩამოართმევს ხელს და ყველას თავს დაუკრავს)

ნინო. (გააცნობს) გთხოვთ იცნობდეთ, ბ ნი გიორგი პროპორიევი.

ხვოროსტ. (ხელს ჩამოართმევს) ხვოროსტნევი! (დაჯდება)

ბიკაევისა. ასე მეგონა, მარტო იქნებოდით, ძვირფასო ნინო. ჩემს თავზედა მაქვს გამოცდილი, რა ძნელიც არის იმისთანა ქალაქში ყოფნა, რომელშიაც ჩვეულებრივი საზოგადოება არ ახვევია ადამიანს გარს. მე რომ ამ ჩვენს წმინდა საქმეს სულითა და გულით არ მივცემოდი, ჰკუიდგან შევიშლებოდი. ეხლა-კი შრომა და ლოცვა მაძლებინებს და ძალასა და ღონეს მაძლევს. მამაჩემმა მთხოვა, რომ გამაცანი ყველანიო. იმასაც ბევრი კარგი გაუგონია თქვენის მშვენიერის მასპინძლობისა პეტერბურგში...

ხვოროსტ. და არც ერთხელ-კი არ მომხდომია ნახვა და თქვენსას სტუმრობით გაბედნიერება.

ნინო. ალბად იმიტომ, რომ გულით არა ყოფილხართ მოწადინებულნი, მით უმეტეს, რომ ჩემის სახლის კარები ყოველთვის ღია იქნებოდა ჩემის მეგობრის მამისათვის.

ხვოროსტ. (თავს დაუკრავს) მაგ სიტყვებს უბრალოდ არ ჩაგიტარებთ და მიპატიჟებად მივიჩნევ. ამ ერთის თვის შემდეგ პეტერბურგში ვაპირებ ჩასვლას...

ნინო. ძნელად თუ აგრე ჩქარა დავბრუნდე. . არამც თუ ერთის თვისა, სულაც არა მგონია, რომ იქავ მომიხდეს დაბინადრება.

ხვოროსტ. ნუ თუ ჩვენს მიკარგულსა და მიყრუებულს მხარეს ამოირჩევთ თქვენს რეზიდენციად?

ნინო. (გაიღიმებს) ჩემნი მეგობრები, სხვაც რომ არა იყოს-რა, ისეთის კეთილის გულით დამიხვდნენ, რომ... მარტო ეს წამაცდენდა და აქ დამაბინადრებდა, მაგრამ ბევრი სხვა მძიმე მიზეზიც მაიძულებს.

ელენე. ბატონო ანდრეი, თქვენც უეჭველად ჩვენ უნდა შემოგვიერთდეთ, უეჭველად.

ხვოროსტ. კარგად მოგეხსენებათ, რომ ყოველთვის თქვენი დიდი მომხრე და მეგობარი ვყოფილვარ.

ბიკაევისა. მამაჩემო, მაგას უბრყვილო და კეთილი გული გათქმევინებთ, თუ დიპლომატობა?

ხვოროსტ. სხვებზე უკეთ უნდა იცოდე, რომ, ჩემის აზრით, ერთიცა და მეორეც ყოველთვის ხელი-ხელს გაყრილნი უნდა დადიოდნენ.

კურჩინი. კილოზედ ეტყობა, რომ ეშმაკობს და ცბიერობს, იმ სიტყვებით გველაპარაკება, რომლითაც დიპლომატები მტრის საწინააღმდეგოდ ჯარებს აწყობენ რაზმებად და წესსა და რიგში მოჰყავთ.

ხვოროსტ. ჩემს წინააღმდეგ შეთქმულან ყველანი? ბატონო ნინო, მოსარჩლეობა გამიწიეთ და ამით უფრო განამტკიცეთ ჩვენი ახალი მეგობრობა.

ნინო. ძალიან კარგი, მზადა ვარ შევეკავშიროთ და არაფრით ვულალოთ თქვენს სატევსა და საგერს პოლიტიკას.

ელენე. ვგონებ ბატონი ანდრია იმას ამჯობინებს სხვა-და-სხვა გარემოების გამო, რომ ამ საქმეში არ გაერიოს და ადრევე დაიბანოს ხელები.

ხვოროსტ (სცდილობს გადააფუჩოს ზემოდ ნათქვამი) რად დამჭირებიათ ჩემი მოხუცი ძვლები, ბატონო ელენე?

ელენე. ჩვენ მთელი დასი გვაქვს შედგენილი, მართალია, მაგრამ დამშვიდდით, ამ დასში თქვენ იმდენადვე საჭირონი ხართ, რამდენადაც, მაგალითებრ, ჩემი ქმარი.

კურჩინი. შენ რომ გკითხონ, შენი ქმარი არსად და არაფრისთვის საჭირო და გამოსადეგი არ არის. ბატონო ანდრეი, მე თქვენს მხარეს გადმოვდივარ, თქვენად მიგულეთ.

ხვოროსტ. (ნინოს) აი, ესეც ერთი მომხრე მოგვემატა...

ბიკაევისა. მამაჩემო, მეც თქვენ მოგემხრობით... მხოლოდ ნება მომეცით მე ვაგო თქვენ მაგიერ ყველას პასუხი.

ხვოროსტ. აღარა ხუმრობთ და, როგორც სჩანს, თამამად ამხედრებულხართ ქალები. მერე ვინ არის ის ახალი ჰერკულესი, ვისაც უპირებთ ძირს დამხობას?

ბიკაევისა. გეტყვით, მამაჩემო, მაგრამ... ჯერ ის მინდა შევიტყო, თქვენი იმედი უნდა გვქონდეს, თუ არა?

ხვოროსტ. ღმერთო, რა კილოთი მელაპარაკები, ჩვენი ბაასი უბრალო მასლაათს აღარაფრითა ჰგავს. არა, არა, მეშინიან... მაგ კილოთი ლაპარაკს ძალიან ვუფრთხი და ვერიდები...

ელენე. ესე იგი უარს გვეუბნებით განა?

ნინო. ჩვენი კავშირი და ზავი?

ხვოროსტ კვლავ ძალაშია და არ დარღვეულა. (არინა შემოდის)

არ-ნი

(შემდეგი იქნება)

ოთხშაბათს, ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს, რუსის ეკკლესია-ში პარაკლისი უნდა გადაიხადონ, რომლის შემდეგ საუზმე იქნება გამართული საიმპერატორო იახტაზე.

ამ მოკლეს ხანში აქ ჩამოვლენ შვეციის მეფე და მემკვიდრე პრინცი.

ბელგრადი. დედოფალი ნატალია დეპეშით აცნობებს მეფე ალექსანდრეს, რომ ამ დღეებში ბელგრადს მოვდივარო.

ათინა. აქ ამბავი მოვიდა, ვითომ მარკიზ სალისბერიმ სულთანს ურჩია კრიტელებს უფრო თავაზიანად და დათმობით მოეპყროს. კრიტიდგან იუწყებიან, რომ ქრისტიანები მეგობრულად ეგებებიან ოსმალოს ჯარებს, ამიტომ საფიქრებელია, რომ უწესოება მალე დასრულდება.

პეტერბურგი. სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ პეტერბურგში ვექსილების გასანაღდებელს აიღებს ექვსის თვისას—6% და კიდევ მეტსაც ცხრა თვისას—$6^1/_2$%.

გუშინ აქაურს უნივერსიტეტში, ლექციების დაწყების წინ, გადახდილ იქმნა პარაკლისი. რექტორმა კლადისლავლევმა მიჰმართა სტუდენტებს შემდეგის სიტყვით: „დიდად სასიამოვნოა, რომ ჩვენის უნივერსიტეტის ახალგაზდობა თავისის გრძნობით ეერთდება რუსის ერს. შარშან ჩვენ ბედნიერება გვქონდა და დავესწარით ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცის მობრძანებას პეტერბურგში, სამეფო მატარებლის დამსხვრევის შემდეგ. სტუდენტები დიდის ამბით მიეგებნენ მეფესა და დედოფალს. პატრიოტულის გრძნობის აღორძინებამ დიდი სახელი და პატივისცემა მოუპოვა სტუდენტობას. საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჩვენს ახალგაზდობას და რუსეთს ერთი და იგივე წადილი და გრძნობა აქვს და რომ ჩვენი ახალგაზდობა განაგრძობს ისტორიას. რასაკვირველია, რუსული გრძნობა იმატებს და გაძლიერდება სტუდენტობაში და ამასთანავე იმატებს იმათი შრომა რუსეთისა და ხელმწიფის სამსახურისათვის. ამისთანა ახალგაზდობა თავ-მოსაწონი იქნება ჩვენის უნივერსიტეტისათვისაო“.

გუშინ გზათა მინისტრი დაბრუნდა პეტერბურგს.

ცარიცინი. კეროსინის ფასი წინანდელზე ნაკლებია 3 კაპეიკით.

რეველი. იმ კომიტეტმა, რომელიც უმაღლესის ნებით არის დაარსებული და რომელმაც შესაწირავი უნდა შეაგროვოს მართლ-მადიდებელთა ტაძრის ასაგებლად რეველში, უკვე დაიწყო მოქმედება. კომიტეტი სთხოვს საზოგადოებას დახმარებას.

პეტერბურგი, 30 აგვისტო. დღეს, ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეობის გამო, ქალაქი მორთულია სხვა-და-სხვა ფერის დროშებით. ალექსანდრე-ნეველის ლავრაში ისააკის ტაძრიდგან ლიტანიით მივიდნენ, რის შემდეგაც გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი.

დღეს გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი რიხტერის სახელობაზე. რიხტერს ებოძა წმ. ვლადიმერის ორდენი პირველის ხარისხისა.

ებოძათ უმაღლესი ჯილდო შინაგან საქმეთა სამინისტროში: წმ. ალექსანდრე ნეველისა—საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორს ზაიკას; თეთრის არწივისა—სამინისტროს საბჭოს წევრს მოროზოვს და მოგილიოვის გუბერნატორს დემბოვეცკის, წმ. ვლადიმირისა (მეორე ხარისხისა) პსკოვის საგუბერნიო მარშალს—ზარინს, წმ. ანნასი (პირველის ხარისხისა): გუბერნატორებს ლომჟინისას—ესენს, სედლეცკისას—სუბოტკინს, კელეცისას ივანენკოს. გუბერნიის მარშლებს: კალუგისას იანოვსკის, ნიჟეგოროდისას ზიბენს და ვოლოგდისას ვოლოცკის; კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავ-მჯდომარეს იაკიმოვს, მთავარ რედაქტორს სასტატისტიკო კომიტეტისას ზეიდლიცს და კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის საქმის მწარმოებელს ამბარდანოვს; წმ. სტანისლავისა (პირველის ხარისხისა) პლოცკის გუბერნატორს მილერს, გუბერნიის მარშლებს: გროდნოსას ურსუნ-ნეცევიჩს და კურსკისას დურნოვს, საქმის მწარმოებელს კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიისას დუკელსკის და წევრს საქმის მწარმოებელს ქუთაისის საგლეხო საქმეთა კრებულისას თავ ერისთავს; წმ ვლადიმირისა (მესამე ხარისხისა) ამიერ-კავკასიის საბჟიო ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელს არტემიევს, საქმის მწარმოებელს კავკასიის მთავარ მართებლის კანცელარიისას ლანგე-პოზდნეევს, წევრს საქმის მწარმოებელს ქუთაისის საგლეხო საქმეთა კრებულისას ბოგდანოვსკის, თარჯიმანს კავკასიის მთავარ მართებლის კანცელარიისას ახუნდოვს და იმავე კანცელარიის საქმის მწარმოებლის უფროსს ამხანაგს ო'ეცკის. ტულის გუბერნატორს ზინოვიევს ებოძა „ტაინი სოვეტნიკობა“.

პარიჟი. გამოფენის დირექტორებმა გამოაცხადეს, რომ გამოფენა უსათუოდ უნდა დასრულდეს 31-ს (19) ოქტომბერს.

პეტერბურგი. 30 აგვისტოს, ღამით, დმიტროვოში გარდაიცვალა ვლადიმირ პავლეს ძე ბეზობრაზოვი.

31 აგვისტო

პეტერბურგი, ხელმწიფე იმპერატორის სახელ-წოდების გამო, წევრნი იმპერატორისა და მეფის სახლეულობისა დაესწრნენ პარაკლისზედ რუსულს ეკკლესიაში. შემდეგ ზარბაზნების სროლა დაიწყო და იმპერატორის სახლეულობა ჩაბძანდა იახტა „Дермова“-ში, სადაც საუზმე იყო გამართული. ქალაქი და აგრეთვე რუსეთისა და დანიის სამხედრო გემები მორთული იყო ბაირაღებით. დიდ-ძალი ხალხი აღტაცებით ეგებებოდა დღესასწაულს.

ვენა. სამხედრო-სატეხნიკო კომიტეტმა მოამზადა 12 სანტიმეტრანის ყალიბის ყუმბარა და თითოეულს საარტილერიო ბრიგადას მიუმატა თითო ბატარეა, რომელშიაც ოთხ ოთხი ამისთანა ყუმბარა იქმნება.

მილანი ობრენოვიჩი თათბირობდა ელჩ პერსიანისთან. პროფესორმა დოკიჩმა ეგერამდე გააცილა ისინი, როცა ვენას წავიდნენ.

ბუდაპეშტი. დღეს დაიწყო სასამართლომ გარჩევა ვაჭრობის სამინისტროს გამგებლის კოკაუს საქმისა. კოკაუს ჰბრალდება გაფლანგვა სახელმწიფო ფულისა. კოკაუმ სთქვა სასამართლოში, რომ სტატს-სეკრეტარმა რამდენჯერმე უბრძანა ემლიათ სესხად ფული სახელ-მწიფო კასიდამ მოხელეებისათვის და რომ თვით მინისტრმა სეჩენიიმ მიიღო ამ კასიდამ 100,000 გულდენი თავისთვის საარჩევანო ხარჯად. ამ საქმეების გამჟღავნებამ დიდი ამბავი მოახდინა მათ გამოსარკვევად გამოძიებაა დანიშნული.

პეტერბურგის ბირჟა, 25 მარიამობ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 62½ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 153 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 1[illegible] | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 263¾ | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 245 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 97½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 97¾ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 83½ | — „ | — „ |

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

ცდა, კრებული, გამ. ალ. გარსევანიშვილის მიერ. „ 50

ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), შეთხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან . . . . . . „ 55

დაიბეჭდა ქუთაისში და ისყიდება

ქართულ წიგნის მაღაზიებში ახალი ლიტერატურული კრებული:

## „ცდა“

გამოცემული ალ. გარსევანიშვილის მიერ.

ფასი 50 კაპ.

ვისაც სურს სტატიის დაბეჭდვა შემდეგს კრებულში, უნდა გამოგზავნოს ხელთ ნაწერი ქუთაისში ამ ადრესით: Дворянское училище, Алек. Гарсеванову. (5 2)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

**ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ**

**въ образцахъ,**

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ცხოვრება ღირსისა მარიამ მან კაპ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . „ 10

თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . „ 60

თორნიკე ერისთავი . . . . 1

საყმაწვილო ამბები . . . „ 40

კერძო ექიმ.

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩებს შე ახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—2)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—36)

სასტუმრო ნომრები

## პარიჟი

გოლოვინის პროსპექტზედ, კადეტის კორპუსის პირდაპირ.

ქვლავ განვაახლე ნომრები და აგრეთვე მივუმატე რამდენიმე ოთახი. ოთახებს მშვენიერი მორთულობა აქვს და აგრეთვე სასიამოვნო ეზოც მდგმურებისათვის.

ნომრებს ვაძლევ თთვიურად 12 მან. 40 მანეთამდე სამოგზაურთ და დღიურად 50 კაპ.—3 მანეთამდე.

ზოგიერთი ოთახი ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი და მეტად ზომიერ ფასად.

საჭმლის გატანა გარედაც შეიძლება დაკლებულის ფასით.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეპყრობიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (3—1)

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.

Дов. ценз. Тифлисъ 31-го Августа. 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Тиографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.) რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე